



ოქმი #2
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2019 წელი, 18 იანვარი
ქ. ოზურგეთი
11.00 – 12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. საჯაია, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, დ.მჟავანაძე.
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე -ო.თოთიბაძე.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.
მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლის მე-4-ე საკითხზე შენიშვნა გააკეთა ბიუროს წევრმა ლ.ბიგვავამ -რომ იგი არ საჭიროებს საკრებულოს თანხმობას, მერიის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი და გადაწყვიტეს ამ საკითხის განხილვაც.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ინგა კალანდარიშვილი

თანამომხსენებლის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით, ბიურომ კენჭისყრით

გადაწყვიტა საკრებულოს განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ (ლ.საჯანია) ორი კვირის ვადაში შეისწავლოს საკითხი და წინადადებები წარუდგინოს საკრებულოსა და პეტიციის ავტორებს.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეიშვილი

გოჩა კილაძე

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა გ.ჩავლეშვილმა დასვა შეკითხვა-ახალი ავტომობილებია და რატომ ხდება მათი გაყიდვა? განუმარტეს, რომ მანქანების რემონტი მოითხოვს დიდ ხარჯებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება-საკითხი შესასწავლად დაეწეროს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას (გ.კილაძე), რომელიც ბიუროს მორიგ სხდომაზე წარმოადგენს შესაბამის დასკვნას.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი-მოდრავი ქონებების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეიშვილი

გოჩა კილაძე

ამ საკითხზეც ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება-საკითხი შესასწავლად დაეწეროს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას (გ.კილაძე), რომელიც ბიუროს მორიგ სხდომაზე წარმოადგენს შესაბამის დასკვნას.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით განკარგვაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეიშვილი

გოჩა კილაძე

ამ საკითხის განხილვისას გაიმართა კამათი, ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ბიუროს წევრ -ლ.ბიგვავას აზრს, რომ აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით ქონების განკარგვა მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილებაა და იგი არ საჭიროებს საკრებულოს თანხმობას, რასაც არ დაეთანხმნენ მერიის წარმომადგენლები. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხი განსახილველად დაეწეროს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას (გ.კილაძე), რომელიც ბიუროს მორიგ სხდომაზე წარმოადგენს შესაბამის დასკვნას.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის ადმინისტრაციულ საზღვრებში კურორტ გომისმთის მოქცევის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეიშვილი

ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებლის ინფორმაციის შემდეგ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა საკითხი, დასკვნა მზადდება და საკითხი უნდა შევიდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, რადგან ხარვეზი-სოფლის მოსახლეობასთან კონსულტაციების გავლა -გამოსწორებულია და შესაბამისი ოქმიც არსებობს.

სხდომის თავმჯდომარის გ.ღურჯუმელიძის აზრით უმჯობესია კურორტ გომის მთის ტერიტორია მოექცეს არა ზოგადად შემოქმედის არამედ სოფელ გომის დასახლების საზღვრებში, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ გ.ღურჯუმელიძემ გააკეთა განცხადება, რომ საკრებულოს სხდომათა დარბაზში, 15.00-საათზე, 2018 წელი გაწეული მუშაობის ანგარიშს გააკეთებს საკრებულოს წევრი ლ.ბიგვავა.

მანვე გამოთქვა აზრი გეგმიური ბიუროს სხდომა 21 იანვრის ნაცვლად ჩანიშნულიყო 28 იანვარს 11.00-საათზე, რაზეც მიიღო ბიუროს წევრთა თანხმობა.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი მეხუთე საკითხი ბიუროს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.N1 საკითხზე- საკრებულოს განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ(ლ.საჯაია) ორი კვირის ვადაში შეისწავლოს საკითხი და წინადადებები წარუდგინოს საკრებულოსა და პეტიციის ავტორებს.

3.N3, 4 საკითხებზე- განსახილველად დაეწეროს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას (გ.კილაძე), რომელიც ბიუროს მორიგ სხდომაზე წარმოადგენს შესაბამის დასკვნებს.

4.ბიუროს მორიგი სხდომა გაიმართოს 2019 წლის 28 იანვარს 11.00-საათზე.

გიორგი ღურჯუმელიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

